

FRAME AGREEMENT FOR COLOCATION SERVICES

კოლოკაციის მომსახურების ზოგადი ხელშეკრულება

This frame agreement (hereinafter referred to as the "Agreement") is made between:

"Company Name", a company duly organized and existing under the laws of Georgia with its principal place of business at [ADDRESS], presented by his director [Name, Surname], (hereinafter referred to as "the Customer")

And

NewTelco Georgia Ltd.,(TAX-ID: 404936192), a company duly organized and existing under the laws of Georgia with its principal place of business at 5, Politkovskaia street, 0186 Tbilisi, Georgia, presented by his director George Gotoshia, (hereinafter referred to as the "Service Provider")

For the purposes of this Agreement, the Customer and Service Provider shall also be referred to as the "Party" individually and the "Parties" collectively agree on:

1. SUBJECT OF THE AGREEMENT

- 1.1 The Service Provider owns the location set out in Annex A
- 1.2 The Service Provider undertakes to provide the Customer with the colocation services at the location set out in Annex A. Such colocation services are described in the attached Annex A "the Services". The Services shall be the subject of orders placed by the Customer using an Order Form. A template Order Form is annexed to this Agreement.
- 1.3 The Customer undertakes to pay the Service Provider the prices under each Order Form on the terms and conditions set out below.
- 1.4 The Customer or any of its Associated Companies shall be entitled to connect to any operators both inside and outside of the Service Providers buildings. Cable length and other technical parameters shall be considered in terms of such connections.
- 1.5 Customer's Associated Companies may place orders under and in accordance with the terms of this Agreement, and Service Provider shall accept such order(s). In this clause Customer Associated Company (s) means the Customer's ultimate holding company or any of its subsidiaries

„კომპანიის დასახელება“ [ს/კ-----], კომპანია, რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართით: [მისამართი], წარმოდგენილი მისი დირექტორის [სახელი, გვარი] სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „დამკვეთი“, ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები“, თანხმდებიან შემდეგზე:

და

შპს „ნიუტელკო ჯორჯია“ (ს/კ 404936192), კომპანია, რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. #5, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოთოშას სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „შემსრულებელი“, ან „ნიუტელკო“, ინდივიდუალურად წოდებულნი, როგორც „მხარე“,

1 ხელშეკრულების საგანი:

- 1.1. შემსრულებელი ფლობს დანართ A-ში მოცემულ ფართს.
- 1.2. შემსრულებელი ვალდებულია იღებს, გაუწიოს დამკვეთს საკოლოკაციო მომსახურება ფართზე, რომელიც მოცემულია დანართ A-ში. მომსახურება აღწერილია დანართ A-ში, „მომსახურების“ პარაგრაფში. თითოეული მომსახურება დამკვეთს მიეწოდება „შეკვეთის ფორმის“ შესაბამისად, რომელსაც წინასწარ, დამკვეთი გააფორმებს შემსრულებელთან. ამგვარი შეკვეთის ფორმის ბლანკი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.
- 1.3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს შემსრულებელს შეკვეთის ფორმაში შეთანხმებული მომსახურების საფასური წინამდებარე კონტრაქტის პირობების მიხედვით.
- 1.4. დამკვეთი, ან მისი მოკავშირე ნებისმიერი კომპანია უფლებამოსილია, კავშირი დაამყაროს შემსრულებლის შენობაში ან მის გარეთ მყოფ ნებისმიერ ოპერატორთან. დაკავშირებისთვის საჭირო კაბელის სიგრძე და სხვა ტექნიკური ინფორმაცია აღირიცხება ამგვარი კავშირის პირობებში.
- 1.5. დამკვეთის მოკავშირე კომპანიებს შეუძლიათ შეავსონ შეკვეთის ფორმა ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ხოლო შემსრულებელმა უნდა მიიღოს ასეთი ფორმა(ები). წინამდებარე პარაგრაფის მიხედვით „მოკავშირე კომპანია“ ნიშნავს დამკვეთის მფლობელ კომპანიას ან მის ნებისმიერ ფილიალს.

2. COMMENCEMENT AND TERMINATION OF THE AGREEMENT AND ORDER FORM

- 2.1 This Agreement shall enter into force from the date of its signature by the Parties
- 2.2. The Agreement shall continue for a definite time period defined as the service period or term of the last valid Order Form plus three months unless terminated in accordance with clause 2.4. below. Also, Customer will be authorized to terminate for persistent breach of Service Level agreement or late delivery of the Service Provider as further described in Annex D.
- 2.3. Either Party may terminate this Agreement immediately, as of right, upon giving 90 days prior written notice in writing.
- 2.4. The termination of this Agreement shall not affect the validity of any order which is in force at the time of such termination. All such orders shall continue to be in force in accordance with their terms and the terms and conditions of this Agreement shall apply to such order until they expire or are terminated in accordance with their terms.
- 2.5. Either Party may terminate this Agreement immediately, as of right, upon giving 30 days prior written notice in writing to the other Party in the event that the other Party becomes bankrupt or insolvent; has sought protection from its creditors under any statute or legal process; has suffered or permitted a trustee, liquidator, receiver, receiver-manager or similar custodian to be appointed or to take possession of its property or assets; has voluntarily or involuntarily commenced proceedings for dissolution, liquidation or winding up; or has ceased to carry on business in the ordinary course.
- 2.6. Either Party may terminate this Agreement with immediate effect by notice in writing to the other Party if that other Party commits a material breach of this Contract and which (in the case of a breach capable of being remedied) is not remedied within 30 days of a written request to remedy.
- 2.7. Either Party may terminate the Agreement in accordance with clause 12 (Force Majeure).
- 2.8. The term of the Service ("Initial Term") shall be set out in the Order Form as set out in Annex D.
- 2.9. The Order Form shall come into force on the date it is signed by both Parties. The Initial Term of any Order Form will start from the date the Service Provider notifies the Customer in writing that the service has been delivered ("Ready for Service Declaration"). Should neither Party have sent 3 months' notice to the other Party, the Order Form will automatically extend for further periods of one year (Further Term) and may then be terminated by either party giving 30 (thirty) days prior written notice of termination.

2. ხელშეკრულების და შეკვეთის ფორმის დაწყების თარიღი და შეწყვეტის პირობები
- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
- 2.2. ხელშეკრულება ძალაში რჩება შეკვეთის ფორმის ვადის ამოწურვამდე პლუს 3 (სამი) თვე, თუ მანამდე არ მოხდა მისი შეწყვეტა 2.4. პუნქტში აღწერილი პირობების თანახმად. ასევე, დამკვეთს უფლება ეძლევა, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი მუდმივად არღვევს შეთანხმებული ხარისხის პირობებს, რომლებიც განხილულია დანართში D.
- 2.3. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება წინასწარ 90 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- 2.4. ხელშეკრულების შეწყვეტა არ იმოქმედებს შეწყვეტის მომენტისთვის ძალაში არსებულ შეკვეთის ფორმის ვადაზე. ყველა ასეთი შეკვეთის ფორმა ძალაში რჩება მათი პირობების შესაბამისად და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები გავრცელდება ყველა ასეთ შეკვეთის ფორმაზე მათი ვადების სრულ ამოწურვამდე.
- 2.5. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე გაკოტრდება ან გახდება გადახდისუნარი; შეწყვეტს საქმიანობას ან დაიწყებს ლიკვიდაციის პროცესს; გადააბარებს საკუთარ ქონებას და კაპიტალს რწმუნებულს, ლიკვიდატორს, მიძღვება ან სხვა მეურვეს.
- 2.6. მხარეებს შეუძლიათ, იმთავითვე შეწყვიტონ ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არღვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას, და, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა გამოსწორებადია, არ ცდილობს მის გამოსწორებას ასეთის წერილობითი მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში.
- 2.7. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება მე-12 პარაგრაფის (ფორს-მაჟორი) მიხედვით.
- 2.8. მომსახურების ვადა („პირველადი ვადა“) განისაზღვრება შეკვეთის ფორმაში (დანართი D).
- 2.9. შეკვეთის ფორმა ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. პირველადი ვადა დაიწყება მაშინ, როდესაც შემსრულებელი წერილობით შეატყობინებს დამკვეთს მომსახურების მზადყოფნის შესახებ („მომსახურების მზადყოფნის უწყისი“). თუ პირველადი ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე არცერთი მხარე არ გამოთქვამს მომსახურების შეწყვეტის სურვილს, შეკვეთის ფორმის ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ერთი წლით. მანამდე, სანამ მხარეები წერილობით არ შეწყვეტენ შეკვეთის ფორმას 30 (ოცდაათი) დღით ადრე.

3. WRITTEN REQUIREMENT

3.1. This Agreement represents the final and complete arrangements between the Parties, and thus invalidates all previous verbal and written agreements. This Agreement, including its annexes, constitutes the contractual Parties entire Agreement. This Agreement may be changed and/or amended only through written and dated amendments numbered in ascending order, signed by both Parties.

4. GENERAL STANDARD TERMS AND CONDITIONS

4.1. The general standard terms and conditions of the Service Provider set out in Annex D hereto shall apply. In case of a discrepancy between this Agreement, annexes A, B, C and D thereto, the general standard terms and conditions (Annex D) and the Order Form, the documents shall have the following priority: the Agreement, annexes A, B, C and D.

5. CONFIDENTIALITY

- 5.1. Each party shall keep confidential any information disclosed to it by the other. Confidential information includes, without limitation, information which is marked or expressed as being confidential, the content of this Agreement and any information which could reasonably be deemed to be confidential, from its nature, content or the circumstances in which it is provided.
- 5.2. Neither party shall disclose confidential information to anyone else except to its employees, agents and sub-contractors who need the information to effect proper performance of this Agreement and/or to its professional advisers.
- 5.3. Each party shall be responsible for ensuring that any person to whom information is disclosed by them complies with the terms of this Article 5 of this Agreement. This Article 5 shall not apply to any information that is generally available to the public, unless this availability results from a breach of this Agreement, to information the receiving party already possesses or which it obtains independently in circumstances in which the receiving party is free to disclose it to others and/or to information that is required to be disclosed for legal reasons.
- 5.4. The Service Provider is not allowed to include the Customer by name only in the Service Provider's Newsletter unless Service Provider gets the Customer's prior written consent. The inclusion of the Customers name in such a Newsletter shall in no way violate confidentiality of this Agreement and shall not provide any detail regarding the Agreement and shall not exceed the scope stated in the foregoing sentence.

3. წერილობითი ფორმა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის საბოლოო და ასახავს მხარეებს შორის შეთანხმებებს, ამრიგად იგი აბათილებს მანამდე არსებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობით შეთანხმების და მოლაპარაკებებს. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ წერილობით - შესაბამისი რიცხვით დათარიღებული და აღმავალი თანრიგით დანომრილი დანართით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეების მიერ.

4. ზოგადი სტანდარტული პირობები

4.1. ხელშეკრულების მსვლელობისას იმოქმედებს დანართ D-ში მოცემული შემსრულებლის პირობები. წინამდებარე ხელშეკრულებასა, **დანართებსა A, B, C, და D-სა** და შეკვეთის ფორმებს შორის არსებული კონფლიქტის შემთხვევაში, დოკუმენტებს პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგი თანრიგით: ხელშეკრულება, დანართები A, B, C და D.

5. კონფიდენციალურობა

- 5.1. მხარეებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ ხელშეკრულებაში გამჟღავნებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალური ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულია, როგორც საიდუმლო; ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსი და ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელიც თავისი ხასიათის, შინაარსის და იმ გარემოს მიხედვით, რომელშიც ის გამჟღავნებულია, ითვლება კონფიდენციალურად.
- 5.2. მხარეებს უფლება აქვთ, გაუმხილონ საიდუმლო ინფორმაცია მხოლოდ თანამშრომლებს, აგენტებს და ქვე-კონტრაქტორებს, თუ ეს საჭირო იქნება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაში და/ან საკუთარ მრჩეველებს.
- 5.3. თითოეული მხარე პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ, ნებისმიერი პიროვნება, რომელსაც მან გაუმხილა საიდუმლო ინფორმაცია, ეთანხმება ხელშეკრულების მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებულ პირობებს. მე-5 პარაგრაფი (კონფიდენციალურობა) არ შეეხება ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც საჯაროა თავისთავად (იმ შემთხვევაში, თუ არ გასაჯაროვდა ხელშეკრულების დარღვევის გზით); რომელსაც მიმღები მხარე ფლობდა ამ ინფორმაციის მიღებამდე; რომელსაც მიმღები მხარე გაეცნო დამოუკიდებლად და/ან ინფორმაცია, რომლის გამხელაც საჭირო ხდება იურიდიული მიზეზებით.
- 5.4. შემსრულებელს არ აქვს უფლება, შეიტანოს დამკვეთის კომპანიის დასახელება საინფორმაციო ბიულეტენში დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ბიულეტენში დამკვეთის დასახელების შეტანა არ არღვევს პირობას კონფიდენციალურობის შესახებ.

6. PRICES

- 6.1. All prices will be indicated in the Order Form for each and every service ordered by the Customer.
- 6.2. Notwithstanding anything in this Agreement to the contrary, after the expiration of the initial service term, NewTelco may change the Service Fees for all Services.

7. TERMS OF PAYMENT

- 7.1. All invoices issued by the Service Provider under each Order Form, shall contain the monthly service fee and VAT and the applicable rate at the time. Each party hereto shall pay any and all taxes, duties and costs incurred by it in fulfilling its obligations pursuant to this Agreement and as per the applicable law and regulations.
- 7.2. The Service Provider shall render all invoices by e-mail with the original following by post to the contact details provided below in the article 8.
- 7.3. The one-off set-up fee set out in the respective Order Form shall become due on signing of the Order Form by both Parties.
- 7.4. The monthly fee as set out in the Order Form shall become first due on the Ready for Service Declaration of each Service Order and every month thereafter.
- 7.5. Power Consumption will be charged separately according to the actual consumption and by the rate of NewTelco valid for the current period.
- 7.6. The Customer shall pay all undisputed invoices due under this within thirty (30) days of the date of receipt of the invoice sent by the Service Provider. Late payments of undisputed invoices shall allow the Service Provider to demand a penalty. The penalty amount shall be 0.05% of the net sum of the invoice for each day the invoice is unpaid until the actual date of payment.
- 7.7. If Customer disputes an invoice in good faith, Customer must pay the undisputed amount and submit written notice of the disputed amount with supporting details, including invoices and Services in dispute, reasons for the dispute and reasonably supporting documentation.

6. მომსახურების საფასური

- 6.1. მომსახურების საფასური აღნიშნება შეკვეთის ფორმაში, დამკვეთის მიერ შეკვეთილ ყოველ ცალკეულ მომსახურებაზე.
- 6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის მიუხედავად, მომსახურების პირველადი ვადის გასვლის შემდეგ, ნიუტელკო უფლებამოსილია, გაზარდოს მომსახურების საფასური ყველა სერვისისათვის.

7. გადახდის პირობები

- 7.1. შემსრულებლის მიერ თითოეული შეკვეთის ფორმის შესაბამისად გამოწერილი ყველა ინვოისი უნდა ასახავდეს მომსახურების ყოველთვიურ ღირებულებას და კანონით გათვალისწინებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ). თითოეული მხარე ვალდებულია, გადაიხადოს ყველანაირი გადასახადი, მოსაკრებელი თუ ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან და გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით.
- 7.2. შემსრულებელმა უნდა მიაწოდოს ინვოისი დამკვეთს ელ-ფოსტის საშუალებით, ასევე გაუზავნოს დოკუმენტის ორიგინალი მის საფოსტო მისამართზე, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების მე-8 პუნქტში.
- 7.3. მომსახურების ერთჯერადი გადასახადი, რომელიც აღნიშნულია შესაბამის შეკვეთის ფორმაში, გადახდას ექვემდებარება მხარეების მიერ შეკვეთის ფორმის ხელმოწერისთანავე.
- 7.4. მომსახურების ყოველთვიური გადასახადი, რომელიც აღნიშნულია შესაბამის შეკვეთის ფორმაში, პირველად გადახდას ექვემდებარება მომსახურების მზადყოფნის უწყების გაფორმებისას, ხოლო შემდგომში - ყოველ მომდევნო თვეს.
- 7.5. ელექტროენერგიის მოხმარების საფასური მხარეს დაერიცხება ცალკე, მისი რეალური მოხმარების შესაბამისად და აღირიცხება იმ მონეტისთვის მოქმედი ნიუტელკოს ტარიფით.
- 7.6. დამკვეთი ვალდებულია, დაფაროს ინვოისი მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. შემსრულებელი უფლებამოსილია, დააკისროს დამკვეთს ჯარიმა, თუ იგი აგვიანებს მომსახურების საფასურის გადახდას. ჯარიმა განისაზღვრება ინვოისის საერთო თანხის 0.05% -ით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 7.7. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ ეთანხმება ინვოისში ასახულ თანხას, იგი ვალდებულია, გადაიხადოს უდავო თანხა და წერილობით აუწყოს სადავო თანხის შესახებ შემსრულებელს, ამასთან, დაუსაბუთოს მას თანხის სადავოობა შესაბამისი დამატებითი დეტალების და საბუთების თანდართვით.

Disputes must be submitted in writing within 15 days from the date of receipt of an invoice; otherwise, such invoice shall be deemed accepted by Customer.

- 7.8. Money transfer charges are for the Customer's expenses and responsibility.
- 7.9. The Service Provider is entitled to stop the service if the Customer falls behind more than two months with invoice payments. In this case power supply will be ceased along with service support.
- 7.10 The Parties agree that the payment is made in GEL.

8. INVOICE ADDRESS

Service Provider:

E-mail:

Mailing address: 5 Anna Politkovskaya Street,
0186 Tbilisi, Georgia

Tel.: +995 322 425 425

Customer:

E-mail:

Mailing address:

Tel.:

9. REGISTERED ADDRESSES AND BANK DETAILS OF THE PARTIES

- 9.1. For the purpose of this Agreement, the registered addresses and bank details of the Parties shall be as follows:

9.2 The Service Provider:

NewTelco Georgia Ltd.

TAX-ID: 404936192

Address: 5 A. Politkovskaia St., Tbilisi 0186, Georgia

Beneficiary Bank: JSC Basisbank

IBAN: GE61BS0000000049636002

SWIFT: CBASGE22

The Customer:

[Company Name]

TAX-ID:

Address:

Beneficiary Bank:

- 9.3. Any alteration of data listed in this clause 9 shall be notified in writing the other Party within 10 (ten) days of such change, to the extent possible.

უწყება სადავო თანხის შესახებ გაგზავნილ უნდა იყოს წერილობით, ინვოისის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვოისში ასახული თანხა ჩაითვლება დამკვეთისთვის მისაღებად და დადასტურებულად.

- 7.8. თანხის გადარიცხვის საფასური ეკისრება დამკვეთს.
- 7.9. შემსრულებელი უფლებამოსილია, შეუწყვიტოს მომსახურების გაწევა დამკვეთს, თუ ეს უკანასკნელი საფასურის გადახდას აგვიანებს ორ თვეზე მეტი ვადით. შემსრულებელი მომსახურების შეჩერებასთან ერთად დამკვეთს უწყვეტ ელექტროენერჯით მომარაგებას.
- 7.10. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების საფასური გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში.

8. მხარეების ინვოისის მისაღები მისამართები:

შემსრულებელი:

ელ-ფოსტა:

საფოსტო მისამართი: ანნა პოლიტკოვსკაიას 5,
თბილისი 0186, საქართველო.

საკ.: +995 322 425 425

დამკვეთი:

ელ-ფოსტა:

მისამართი:

საკ.:

9. მხარეების იურიდიული მისამართები და საბანკო დეტალები:

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეების მისამართები და საბანკო დეტალები იქნება შემდეგი:

9.2. შემსრულებელი:

შპს „ნიუტელკო ჯორჯია“

ს/კ: 404936192

ა. პოლიტკოვსკაიას 5,
0186 თბილისი, საქართველო

ბანკი: სს „ბაზისბანკი“

IBAN: GE61BS0000000049636002

SWIFT: CBASGE22

დამკვეთი:

[კომპანიის დასახელება]

ს/კ:

მისამართი:

ბანკი:

- 9.3. აღნიშნულ მისამართებში და რეკვიზიტებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, მხარემ მეორეს უნდა აცნობოს ამის შესახებ წერილობით, ცვლილებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. Assignment

- 10.1. Parties have no right to assign rights and obligations set under this Agreement, without the other Party's written consent, which consent cannot be unreasonably withheld or delayed. The Customer shall be entitled to assign its rights and obligations to a Customer associated company without the consent of the Service Provider
- 10.2. This Agreement shall be binding upon and ensure solely to the benefit of the Parties hereto and their respective successors and permitted assigns and nothing herein, expressed or implied, is intended to or shall confer upon any other party or other entity any legal or equitable right, benefit or remedy of any nature whatsoever under or by reason of this Agreement.

11. SETTLEMENT OF DISPUTES AND GOVERNING LAW

- 11.1. The Parties hereto shall endeavour to settle amicably by mutual discussions any disputes, differences or claims related to this Agreement. If the Parties within 30 (thirty) days fail to reach such an amicable settlement, any controversy, claim or dispute arising under or relating to this Agreement, including the existence, validity, interpretation, performance, termination or breach thereof, shall be settled in accordance with the laws of the Republic of Georgia.

12. FORCE MAJEURE

- 12.1. No failure or omission by either Party to carry out or observe any of the terms and conditions of this Agreement shall be deemed to be a breach of this Contract if such failure or omission arises from any cause reasonably beyond the control of that Party (a "Force Majeure Event"). Each Party shall give the other notice in the event it experiences a failure due to a Force Majeure Event. Upon such notice, the Party affected by the Force Majeure Event may delay performance during such Force Majeure Event and shall have no liability for such delay. In case the duration of the event exceeds 3 (three) months, Parties shall negotiate in order to define further execution of this Agreement.
- 12.2. Parties shall have no liability for partial or full failure of executing the agreement if such failure is a direct consequence of a force-major event. Examples of such an extraordinary situation include fire, earthquake, epidemic, blockade of means of transportation, and other factors of instability which affect the fulfilment of this Contract.
- 12.3. Upon occurrence and cessation of a circumstance, the Party, for whom performance has become impossible, shall, within 30 days, inform the other Party in written form, attaching a document issued by a competent state body confirming the occurrence and cessation of the event.

10. უფლებათა გადაცემა

- 10.1. არცერთ მხარეს არ შეუძლია გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. არცერთ მხარეს არ შეუძლია გონივრული მიზეზის გარეშე უარი განაცხადოს ან შეაყოვნოს ასეთი თანხმობა. დამკვეთი უფლებამოსილია, გადასცეს მისი უფლებები და მოვალეობები თავის მოკავშირე/ავილირებულ კომპანიას შემსრულებლის თანხმობის გარეშე.
- 10.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება სავალდებულო იქნება ორივე მხარისათვის და მიზნად ისახავს მხოლოდ მხარეების სარგებელს. არაფერი წინამდებარე ხელშეკრულებაში, გამოთქმული ან ნაგულისხმები, არ მიანიჭებს არცერთ მხარეს რაიმე იურიდიულ ან სამართლებრივ უფლებას.

11. დავების გადაწყვეტა და მოქმედი კანონმდებლობა

- 11.1. მხარეები მიმართავენ ყველანაირ ძალისხმევას, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი წამოჭრილი დავა თუ უთანხმოება გადაწყვიტონ მეგობრულად, მოლაპარაკებების გზით. თუ მხარეები ურთიერთშეთანხმებით ვერ მიაღწევენ გადაწყვეტილებას 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, ნებისმიერი ასეთი უთანხმოება განიხილება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევა გამოწვეულია მხარეების კონტროლის მიღმა არსებული მოვლენებით (ფორს-მაჟორი). თუ რომელიმე მხარე განიცდის ფორს-მაჟორული მოვლენის ზეგავლენას, მან მეორე მხარეს წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ. აღნიშნული მოვლენის მსვლელობისას მხარე უფლებამოსილია, შეაყოვნოს ნაკისრი მოვალეობების შესრულება. თუ ფორს-მაჟორული მოვლენის ხანგრძლივობა აღემატება 3 (სამ) თვეს, მხარეები გადახედავენ ხელშეკრულების შემდგომი შესრულების შესაძლებლობებს.
- 12.2. ფორს-მაჟორულ მოვლენად ჩაითვლება: ხანძარი, მიწისძვრა, ეპიდემია, სატრანსპორტო საშუალებების ბლოკადა და მხარეების კონტროლის მიღმა არსებული სხვა ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუშლიან ხელშეკრულების შესრულებას.
- 12.3. ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომის და დასრულების შესახებ დაზარალებული მხარე მეორეს წერილობით, 30 დღის განმავლობაში აცნობებს. ცნობას მხარემ უნდა დაურთოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული დასტური ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომისა და დასრულების შესახებ.

13. SIGNATURES OF THE PARTIES

NewTelco Georgia LTD

Date: _____

Name: **George Gotoshia**

Title: Director

Signature -----

[Company Name]

Date:

Name:

Title:

Signature -----

13. მხარეების ხელმოწერა

შპს ნიუტელკო ჯორჯია

თარიღი: _____

სახელი, გვარი: **გიორგი გოთოშია**

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა -----

[კომპანიის დასახელება]

თარიღი:

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

ხელმოწერა -----